პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 283 (14887)

3 დეკემბერი ხუთშაბათი 1970 წელი 2 კაკ.

XXIV შეასრულეს ხუთწლედი

მშენებელთა ნოგათი

თელავი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის № 4 სამმართველოს (უფროსი ი. ბეფუაშვილი) კოლექტივი, რომელიც მშენებლობას აწარმოებს თელავისა და ახმეტის რაიონებში, უოველთვის დროს უსწრებს და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ამჯერადაც სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა, 27 ნოემბრისათვის გადაჭარბებით დაასრულა ხუთწლიანი გეგმა. ნაცვლად გათვალისწინებული 11 მილიონ 740 ათასი მანეთისა შეასრულა 11 მილიონ 936 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ჩვენს საწარმოებში

● ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანამ ვადამდე — 26 ნოემბრისათვის შეასრულა ხუთწლედის დავალება. დაზოგეს 35 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და მილიონობით მანეთის ნედლეული, შრომის ნაყოფიერების ზრდამ ხუთწლედის მანძილზე 38 პროცენტი შეადგინა, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, ამაღლდა წარმოების რენტაბელობის დონე. ქარხნის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა ხუთწლედის ფონდში 2.550 ათასი მანეთი შეიტანეს.

ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განაღდებაში დიდი წვლილი მიუძღვის პირველი საამქროს კომუნისტური შრომის კოლექტივს, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ნოდარ ჯაფარიძე ხელმძღვანელობს.

ახლა ზესტაფონელი მეტალურგები 1971 წლის ანგარიშში მუშაობენ, ახალ შრომითს საჩუქარს უმზადებენ პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

● წულუკიძე. (საკ. კორ.). ახალციხის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ვ. ბერაძე) ვადაზე ორი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის დავალება. ფეიქრებმა დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს და 1 მილიონ 326 ათასი მანეთით გადაამეტეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმას.

ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში დაზოგა 8.000 კილოგრამზე მეტი ძვირფასი ახალციხის პარკი, 4.000 კილოგრამზე მეტი ნაგრები ახალციხის ძაფი და 117 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. წულუკიძელმა ფეიქრებმა ზედიზედ ოთხჯერ გაიმარჯვეს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, ხოლო მეხუთედ — მიმდინარე წლის მესამე კვარტალის შედეგებით — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურეს.

ბრიგადირი სოფლად

სკკპ XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ შემუშავებულმა ეკონომიურმა ღონისძიებებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაში. მნიშვნელოვნად განმტკიცდა მეურნეობათა ეკონომიკა, ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა, გაიზარდა პროდუქციის წარმოება.

სოფლის მეურნეობა ისეთი დარგია, რომლის ნამდვილი ამაღლება შეიძლება მხოლოდ საერთო მეცადინეობით. როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში დასახული პროგრამის წარმატებით შესრულების ერთ-ერთი პირობაა სისტემატური დაკვირვებული მუშაობა კადრებთან. საგულდაგულო პარტიულ ყურადღებას მოითხოვს ყველა რგოლის კადრები, მათ შორის წარმოების უშუალო ორგანიზატორები — განყოფილებათა მმართველები, ბრიგადირები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმის გამგეები.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტი უბნები განმტკიცებინათ ნიჭიერი საქმით დაინტერესებული მუშაკებით. მაგალითად, ხიდ‍ნალის რაიონში სპეციალურად წინასწარ მსჯელობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბრიგადირის შერჩევის დროს. მეურნეობების მოთხოვნილებათა საფუძველზე ამზადებენ კადრებს სასწავლებლებში, რაიონში შექმნილია ბრიგადების, ფერმის გამგეების, განყოფილებათა მმართველების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები. ასე მუშაობენ აგრეთვე წითელწყაროს, მახარაძის, გარდაბნის, მარნეულის, აბაშის, ხობის, გეგეჭკორის, თერჯოლის, გურჯაანის, ჩხოროწყუს, მცხეთის, ხაშურის, ბორის რაიონებში. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საშუალო რგოლის კადრების შემადგენლობა.

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცოტანი როდი არიან ბრიგადირები, რომლებსაც მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ერთ-ერთ ბრიგადას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია, მისი ბრიგადა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში ცნობილია მთელ რესპუბლიკაში. მრავალი წლის განმავლობაში გურჯაანის რაიონის ჩუმლიყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირად მუშაობდა სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ არჩევნიშვილი. ამას წინათ იგი პენსიაზე გადავიდა. კოლმეურნეობის გამგეობამ ამ თანამდებობაზე დაანწინაურა მისი შვილი — გივი. ბრიგადის წევრები სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს. ახლა იგი მამის ტრადიციას სახელოვნად განაგრძობს. ივანე მიდელაშვილი მცხეთის რაიონში ერთ-ერთი ცნობილი კოლმეურნეა. იგი წლების მანძილზე ბრიგადირად მუშაობს ძალისის კოლმეურნეობაში.

ბევრგან ახალგაზრდა სპეციალისტს სანამ ბრიგადირად ან ფერმის ხელმძღვანელად დაანწინაურებენ, მას სულ ცოტა 6-12 თვეს გამოცდილ ბრიგადირთან, ფერმის გამგესთან ამუშავებენ. ასე დაიწყეს მუშაობა ამჟამად მთელ რესპუბლიკაში ცნობილმა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა — სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ხუციურაულმა, ბოდბისხევის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. ბოკოლიშვილმა, წითელწყაროს რაიონის არბოშიკის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა გ. ალადაშვილმა, მარნეულის რაიონის ალგეთის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ხ. ხაჯაშვილმა, ჩხოროწყუს რაიონის დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. კვირკველიამ, გარდაბნის რაიონის დიღმის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა თ. კერესელიძემ. ესენი აგროტექნიკური წესების გაუხარელად გატარებით, წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვით, შრომის სწორად მოწყობით ყოველ წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვ მოსავალს იღებენ.

კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო მშენებლობის პირველსავე წლებში წარმოშვა შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა. ბრიგადა ძირითადი საწარმოო ერთეულია, აქ ადამიანთა მუდმივი შემადგენლობაა, რომლებიც აღჭურვილი არიან წარმოების საშუალებებით და შრომის განაწილების საფუძველზე ასრულებენ მათთვის დაწესებულ საგეგმო დავალებებს.

კოლმეურნეობის ახალი წესდებით, ბრიგადირებს ირჩევენ და ისინი ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ აბარებენ სოფლის მშრომელთა კრებებზე. ბრიგადირის (ქვეგანაყოფის ხელმძღვანელის) განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო საქმიანობასთან, სავალდებულოა მოცემულ ქვეგანაყოფში მომუშავე ყველა კოლმეურნისათვის. ბრიგადირი (ქვეგანაყოფის ხელმძღვანელი) თავის მუშაობაში ემორჩილება კოლმეურნეობის გამგეობასა და თავმჯდომარეს, ხოლო სპეციალურ საკითხებში აგრეთვე მთავარ (უფროს) სპეციალისტებს.

ამჟამად, როცა აღებულია სოფლის მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მისი ფართო ხელახალი ტექნიკური აღჭურვის კურსი, საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს დიდ მოთხოვნებს უყენებენ. მათ საფუძვლიანად უნდა იცოდნენ ეკონომიკა, ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ შრომის ნაყოფიერების, მეურნეობის რენტაბელობის ზრდის სხვადასხვა საშუალებათა შესახებ, წარმოებაში უნდა ნერგავდნენ მეცნიერების მიღწევებს, პროგრესულ ტექნოლოგიას.

ბრიგადის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მთელი ბრიგადის და მისი თვითეული წევრის მუშაობისათვის. იგი აწესრიგებს შრომას ბრიგადაში, პასუხისმგებელია წლიური საგეგმო დავალების შესრულებისათვის, ბრიგადისათვის ჩაბარებული ქონების დაცვისათვის. ბრიგადირი ვალდებულია ბრიგადის წევრთა შორის სამუშაოთა განაწილებისას ზუსტად გაითვალისწინოს მათი ფიზიკური ძალა, ცოდნა, კვალიფიკაცია, გამოცდილება და არ დაუშვას შინაურობა.

სამწუხაროდ, ბრიგადირის, ფერმის გამგის შერჩევას ყველგან როდი ექცევა სათანადო ყურადღება. ზოგან მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეები ძნელად იკიდებენ ფეხს, სუსტად ინერგება მოწინავე გამოცდილება. ბრიგადირებს, ფერმის გამგეებს, აგროგანყოფილებების ხელმძღვანელებს ზოგან არა აქვთ საჭირო მომზადება. ასეთ შემთხვევებს პარტიული ორგანიზაციები ურიგდებიან. მაგალითად, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი, რაიხაბჭოს აღმასკომი ხანთანადო ყურადღებით არ ეკიდებიან ამ დარგში კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას. 179 ბრიგადირსა და ფერმის გამგეს შორის მხოლოდ ოთხს აქვს უმაღლესი განათლება. რაიონში ყოველთვის კრიტიკულად როდი აფასებენ მდგომარეობას და დრმა ანალიზს არ უკეთებენ ვითარებას თვითეულ მეურნეობაში, წარმოების თვითეულ უბანზე. სწორად ამის შედეგად რაიონის 27 კოლმეურნეობა ზარალიანია, 16 კოლმეურნეობაში ხიმინდის მოსავლიანობა მეტარზე 8 ცენტნერს არ აღემატება, მარტო შარშან მესამინდეობიდან ზარალმა 49 ათას მანეთს მიაღწია.

ბრიგადირთა და ფერმის გამგეთა კადრების შერჩევაში მსგავს ფაქტებს ვხვდებით შუახევის რაიონის ბარათოულის, ირმლის, ზემოხევისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

კადრები იზრდებიან, ყალიბდებიან უწინარეს ყოვლისა ძირეულ კოლექტივებში. სისტემატურ პარტიულ ზრდნვას მოითხოვს კადრების იდეური წრთობა. მათ უნდა ვასწავლოთ მიღებული ცოდნის გამოყენება ცხოვრებაში.

ცხოვრება წინ მიდის, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტიც შეიძლება ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს, თუ განუწყვეტლივ არ სწავლობს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ყურადღებით ადევნონ თვალი ბრიგადირების შემოქმედებითს ზრდას, შეუქმნან მათ პირობები კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, გამოიყენონ სწავლის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, როგორიც არის: მოკლევადიანი კურსები, სემინარები, მოწინავე გამოცდილების სკოლა, დაუსწრებელი განათლების სისტემა და სხვ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება. კოლმეურნეობები მალე შეაჯამებენ მთელი წლის შრომის შედეგებს, დასახავენ მომავლის გეგმებს. კოლმეურნეობის ბრიგადირის როლი ამ საქმეშიც დიდია. მათი მოვალეობაა აღრიცხვის დარგის სპეციალისტებს, ეკონომისტებს წარუდგინონ ბრიგადის საქმიანობის სრულყოფილი მაჩვენებლები. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ინვენტარიზაციის ჩატარებაში, კოლმეურნეობის საანგარიშო კრების მომზადებაში.

წარმატებით შეასრულოთ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სახალხო მაჩვენებლებით შეეხვედეთ სკკპ XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს — ასეთია დღეს სოფლის მეურნეობის მშრომელთა საბრძოლო ამოცანა.

მათ თავი ისახელეს

ენგურჰესის მშენებლობის ძალოვან კვანძზე მოწინავეა № 4 უბანი, რომელსაც ზ. ვაჩაძე ხელმძღვანელობს. უბანში ბევრი კარგი მშენებელია. მათ შორის არის გვირაბგამყვანი ს. დგებუაძე. სურათზე: უბნის უფროსი ზ. ვაჩაძე (მარცხნივ) და მოწინავე გვირაბგამყვანი ს. დგებუაძე.

ფოტო ს. პილაძისა.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ბერლინში ჩავიდა

ბერლინი, 1 დეკემბერი. (საკდისი). დღეს ბერლინში ჩამოვიდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოძმე პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე წარგზავნილი საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განრიგი ლ. ი. ბრეჟნევი.

შენიფლდის აეროდრომზე ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. შტოფი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოძმე პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ჩამოსული საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი, საბჭოთა კავშირის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ჯარების ჯგუფის სარდლობა.

მოძმე პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრა

ბერლინი, 2 დეკემბერი. (საკდისი). დღეს აქ დაიწყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოძმე პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა შეხვედრა.

დელეგაციები ბერლინში ჩავიდნენ

ბერლინი. 1 დეკემბერი. (საკ დისი). დღეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოძმე პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ჩამოვიდნენ დელეგაციები:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. �ულგარეთის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ტოდოროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ბაშევი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშა-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ჟ. ფოხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. კ�‍

‍ ზინი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. პეტერი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. გომულკას მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. კლიშკო, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. მარეში, ჩეხოსლოვაკიის სრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ძლუსაკი.

შენიფლდის აეროდრომზე დელეგაციებს შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. კ��ზინი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

საგჯოუთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომპარტიის დელეგაციების შეხვედრა

რომი, 2 დეკემბერი. (საკდისი). გუშინ იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში მოეწყო იტალიაში მყოფი საბჭოთა კავშირის კომენისტური პარტიის დელეგაციის შეხვედრა იტალიის კომპარტიის დელეგაციასთან.

იტალიის კომპარტიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ლ. ლონგო, იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ე. ბერლინგუერი და პარტიის სხვა ხელმძღვანელები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ი. პელშე.

შეხვედრის მსვლელობაში ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და იტალიის კომპარტიას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამხ. ა. ი. მიკოიანის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით ამხ. ანასტას ივანეს-ძე მიკოიანი დაჯილდოდეს ოქტომბრის **რევოლუციის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 2 დეკემბერი.

მიფრინავს „კოსმოსი-381“

1970 წლის 2 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-381“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საჭიროდინაციოგამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდისი).

ელექტროსადგური ტუნდრაში

მურმანსკი. (საკდისის კორ.). ამოქმედდა სერებრიანსკის ჰიდროელექტროსადგური — 1, რომელიც იმიერპოლარეთის ტუნდრაში მდინარე ვორონიაზე აგებეს. ადამიანის მიერ დამორჩილებულმა ბობოკარმა მდინარემ ამამოქმედა ტურბინა. ახლა მდინარის დინების ქვემოთ 25 კილომეტრზე აგებენ მეორე სადგურს.

კიდევ ერთი რიგული

რიგის „ვეფის“ ქარხანამ აითვისა „ტა-68“ მაგიდის ტელეფონის აპარატების სერიული წარმოება. თავისი წინამორბედისაგან ეგი განსხვავდება უკეთესი ტექნიკური მონაცემებით, ლაზათიანი გარეგნობით.

რიგის. ქარხანა უშვებს საბჭოთა წარმოების ყოველ მეორე ტელეფონის აპარატს. ახლა ყოველ წუთში მზადდება ხუთი ტელეფონი. რიგელებმა ხუთწლიანი დავალების გადამეტებით უკვე გამოუშვეს 75 ათასი აპარატი. (საკდესის კორ.).

მწერალი ა. ა. პროკოფიევი — სოციალისტური შრომის გმირი

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერალ ალექსანდრე ანდრიას-ძე პროკოფიევს მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ლენინის ორდენისა და ოქროს medal „ნამგალი და უროს“ გადაეცემოთ. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვახტანგ გაბრიელის-ძე ბოჭორიშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ქვაბაძე

თბილისი,
1970 წ. 2 დეკემბერი.

ჩვენს დიად სამშობლოში

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია 25 წლისაა

საიუბილეო პლენუმი მოსკოვში

1 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის 25 წლისთავს. პლენუმის მონაწილენი ორი დღის განმავლობაში განიხილავდნენ საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას მოხსენებას ფედერაციის საბჭოს ბუდაპეშტში გამართული საიუბილეო სესიის შედეგებისა და მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში საბჭოთა ქალების კომიტეტის ამოცანების შესახებ.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში პლენუმის მონაწილეებმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ და მისმა ეროვნულმა ქალთა ორგანიზაციებმა ზეიმით აღნიშნეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ლენინის იუბილე გახდა ნამდვილად დიადი დამრაზმველი ძალა, რომელმაც კიდევ უფრო შეაკავშირა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის, მთელი მსოფლიოს ქალთა რიგები იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური, პროგრესისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ქალებმა გადაწყვიტეს გააძლიერონ სოლიდარობისა და მატერიალური დახმარების აქციები ინდოჩინეთის, არაბული ქვეყნების ბავშვებისა და ქალებისადმი, აგრეთვე ამ სხვა ქვეყნების ბავშვებისა და ქალებისადმი, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის, ფაშისტური დიქტატურებისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა ქალების კომიტეტი დახმარებას გაუწევს განვითარებადი ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებს ეროვნული კადრების მომზადებაში, უშვებენ ლიკვიდაციისა და სანიტარული განათლების ცენტრების შექმნაში. გადაწყვეტილია გააძლიერონ სახსრების შეგროვების კამპანია მშვიდობის საბჭოთა ფონდში, მათ შორის ჰანოიში დედათა და ბავშვთა დაცვის სამედიცინო ცენტრის მშენებლობისათვის. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ბ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვახტანგ გაბრიელის-ძე ბოჭორიშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ქვაბაძე

თბილისი,
1970 წ. 2 დეკემბერი.

ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ სასახლის ფოიერში ლამაზ სტენდებზე განლაგებულ ნატურალურ ექსპონატებს დაუმშვენებია. აქ წარმოდგენილია ყოველივე საინტერესო, რაც ნამუშევრის რაიონის მშრომელებს შეუქმნია და რითიც ამაყობენ ისინი. დიაგრამები, ზრდის ციფრები ნათელყოფენ ცალკეული საწარმოებისა და საზოგადოებრივ მეურნეობათა მიერ განვლილ გზას ხუთწლიედში, წლის მანძილზე. აქვია იმ მოწინავე ადამიანთა, კომუნისტების პორტრეტები, რომლებიც პირად მაგალითს იძლევიან სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

რაიონის კომუნისტთა თითქმის სამოათასკაციანმა რაზმმა 344 წარმომადგენელი გამოგზავნა ნამურის თავის 41-ე ფორუმზე. ამათგან 251 დელეგატს მკერდს უმშვენებს სამშობლოს მაღალი ჯილდოები — ორდენები და მედლები.

პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც კონფერენციაზე რაიკომის პირველი მდივანი დ. ნოზაძე გამოვიდა, და კომუნისტთა გამოსვლებში, ლაპარაკი იყო პირველად პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოს საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მასების აქტივობის ასამაღლებლად.

როგორც ცნობილია, ყოველი საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები. ამიტომ რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები თავიანთი მუშაობის სტილს სრულყოფენ უწინარეს ყოვლისა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებით.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა იდეოლოგიური მუშაობა. რაიონში შექმნილია 174 დაწყებითი პოლიტიკსკოლა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლები და თეორიული სემინარები, რომლებშიც გაერთიანებულია 3.736 მსმენელი, მათგან 2.577 კომუნისტია. წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მშრომელთა ეკონომიური სწავლების გაძლიერებას. შეიქმნა ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელი 59 სკოლა. 38 ავიტკოლექტივსა და სამ პოლიტინფორმატორთა ჯგუფში რვაასამდე კაცია გაერთიანებული. ეწყობა ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრები პარტიულ აქტივთან, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, ექსკურსიები... გამოცოცხლდა ლექციური პროპაგანდა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

ყოველივე ეს აქ ხელს უწყობს ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც პარტიის XXIII ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დასახეს.

აი ამის ზოგიერთი მაგალითი.

სამრეწველო საწარმოები წარმატებით ასრულებენ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მიმდინარე წლის გეგმას, მნიშვნელოვნად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

მიღწეულია სოფლის მეურნეობაშიც. მიმდინარე ხუთწლედში წარმოებულ იქნა იმაზე გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამ პერიოდში სამშობლოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 1.250 ტონა მარცვლეული, 2.965 ტონა ბოსტნეული, 19.600 ტონა შაქრის ჭარხალი, 8.372 ტონა ხილი, 736 ტონა ხორცი და სხვა პროდუქტები.

ამნაირად განსაკუთრებით მძიმე პირობების მიუხედავად წელსაც რაიონმა გადამეტებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ყურძნის გარდა) მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება.

ხუთწლედის მოწინავე ხაზზე დგანან მინის ტარის, სპირტის ქარხნების, ალის საბჭოთა მეურნეობის, სავაგონო დეპოს, წრომის, ოსიაურის კოლმეურნეობების, მეორე ტექნიკური კვანძის, ნამურგაზის კანტორისა და სხვა შრომითი კოლექტივები. ეს კი იმის შედეგია, რომ აქ პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად მუშაობენ ადამიანებთან, ავითარებენ მათს აქტივობასა და ინიციატივას. ამაღლებენ თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობას.

— სავაგონო დეპომ, — თქვა თავის გამოსვლაში ამ შრომითი კოლექტივის პარტიული კომიტეტის მდივანმა, დელეგატმა ა. კინაძემ, — უკვე ათ აგვისტოს გაანალდა ხუთწლიანი დავალება. ჩვენთან ყველა საამქროს, ცალას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის მაღალი წოდება, ხოლო 348 კაცი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ავანგარდშია დეპოს 240-ზე მეტი კომუნისტი, რომლებიც რამდენიმე პარტორგანიზაციასა და 12 პარტიულ ჯგუფში არიან გაერთიანებულნი. კომუნისტთა აღზრდის ნამდვილ სკოლად გადაიქცა პარტიული კრებები. მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას ემსახურება პარტიული განათლების ქსელი, ლექციური პროპაგანდა, პოლიტიკური აგიტაცია.

კონფერენციაზე ბევრი კარგი რამ ითქვა ოსიაურის კოლმეურნეობისა და ნაშერის მინის ტარის ქარხნის მისამართით. ამიტომ დელეგატებმა უურადღებით მოისმინეს ამ საზოგადოებრივი მეურნეობის თავმჯდომარის, ახალგაზრდა სპეციალისტის, დელეგატ **გ. გელაშვილისა** და საწარმოს პარტბიუროს მდივნის, დელეგატ **ეო. ახვლედიანის** გამოსვლები.

— ვინ არ იამაყებდა ისეთი კომუნისტებით, — თქვა ე. ახვლედიანმა, — როგორიც არიან ჩვენს ქარხანაში მანქანის გამწყობები ტ. გიორგაძე და ვ. კიკაძე, მემანქანეები გ. ქუფარაშვილი და რ. ბერიძე, ჯაზის შემდგენელნი რ. ლომიძე და ზეინკალი შ. კურტანიე, ხარატები შ. ჩუბკო და ა. ლაკბიძე, წუნმდებელები მ. ლომიძე და ნ. ღამბაშიძე.

თავიანთი კოლექტივების მშრომელთა აქტივობას, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობას, ადამიანთა აღზრდის საკითხებს მიუძღვნეს გამოსვლები წრომის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ნ. მურჯიკნელმა, სალოკომოტივო დეპოს მემანქანემ ა. წიფლიშვილმა, ალის მეეენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ნ. ქიტიაშვილმა და სხვებმა.

მათ სიტყვებში იგრძნობოდა ზრუნვა ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხებისათვის, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებისათვის.

ᲐᲦᲕᲤᲐᲠᲓᲝᲗ, ᲕᲣᲮᲔᲚᲫᲙᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ციის გამოშვებისა და რეალიზაციის მიმდინარე წლის გეგმას, მნიშვნელოვნად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

მიღწეულია სოფლის მეურნეობაშიც. მიმდინარე ხუთწლედში წარმოებულ იქნა იმაზე გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამ პერიოდში სამშობლოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 1.250 ტონა მარცვლეული, 2.965 ტონა ბოსტნეული, 19.600 ტონა შაქრის ჭარხალი, 8.372 ტონა ხილი, 736 ტონა ხორცი და სხვა პროდუქტები.

ამნაირად განსაკუთრებით მძიმე პირობების მიუხედავად წელსაც რაიონმა გადამეტებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ყურძნის გარდა) მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება.

ხუთწლედის მოწინავე ხაზზე დგანან მინის ტარის, სპირტის ქარხნების, ალის საბჭოთა მეურნეობის, სავაგონო დეპოს, წრომის, ოსიაურის კოლმეურნეობების, მეორე ტექნიკური კვანძის, ნამურგაზის კანტორისა და სხვა შრომითი კოლექტივები. ეს კი იმის შედეგია, რომ აქ პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად მუშაობენ ადამიანებთან, ავითარებენ მათს აქტივობასა და ინიციატივას. ამაღლებენ თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობას.

— სავაგონო დეპომ, — თქვა თავის გამოსვლაში ამ შრომითი კოლექტივის პარტიული კომიტეტის მდივანმა, დელეგატმა ა. კინაძემ, — უკვე ათ აგვისტოს გაანალდა ხუთწლიანი დავალება. ჩვენთან ყველა საამქროს, ცალას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის მაღალი წოდება, ხოლო 348 კაცი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ავანგარდშია დეპოს 240-ზე მეტი კომუნისტი, რომლებიც რამდენიმე პარტორგანიზაციასა და 12 პარტიულ ჯგუფში არიან გაერთიანებულნი. კომუნისტთა აღზრდის ნამდვილ სკოლად გადაიქცა პარტიული კრებები. მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას ემსახურება პარტიული განათლების ქსელი, ლექციური პროპაგანდა, პოლიტიკური აგიტაცია.

კონფერენციაზე ბევრი კარგი რამ ითქვა ოსიაურის კოლმეურნეობისა და ნაშერის მინის ტარის ქარხნის მისამართით. ამიტომ დელეგატებმა უურადღებით მოისმინეს ამ საზოგადოებრივი მეურნეობის თავმჯდომარის, ახალგაზრდა სპეციალისტის, დელეგატ **გ. გელაშვილისა** და საწარმოს პარტბიუროს მდივნის, დელეგატ **ეო. ახვლედიანის** გამოსვლები.

— ვინ არ იამაყებდა ისეთი კომუნისტებით, — თქვა ე. ახვლედიანმა, — როგორიც არიან ჩვენს ქარხანაში მანქანის გამწყობები ტ. გიორგაძე და ვ. კიკაძე, მემანქანეები გ. ქუფარაშვილი და რ. ბერიძე, ჯაზის შემდგენელნი რ. ლომიძე და ზეინკალი შ. კურტანიე, ხარატები შ. ჩუბკო და ა. ლაკბიძე, წუნმდებელები მ. ლომიძე და ნ. ღამბაშიძე.

როგორც მოხსენებასა და დელეგატთა გამოსვლებში იყო ნათქვამი, ცალკეულ საწარმოთა და საზოგადოებრივ მეურნეობათა გამოცდილება ცხადყოფს, რომ რაიონში ყველა პირობა არსებობს წარმოების ეფექტურობის გადიდებისა და დაჯილბათა უფრო წარმატებით შესრულებისათვის. მაგრამ მთელი რიგი საწარმოები და საზოგადოებრივი მეურნეობები სხვებთან თანაბარ პირობებში გაცილებით დაბალ მაჩვენებლებს აღწევენ. მაგალითად, კოლმეურნეობა „ზემო ქართლი“ საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 21 ცენტნერ ხილს და 4-5 ცენტნერ ყურძენს იღებს. ასეთივე მდგომარეობაა სტივისა და ხცისის კოლმეურნეობებში. და ეს მაშინ, როცა წრომის კოლმეურნეობაში წელს საშუალოდ ჰექტარზე 35 ცენტნერი ყურძენი და 85 ცენტნერი ხილი მოიყვანეს.

საზოგადოებრივ მეურნეობებში არც თუ იშვიათად ირღვევა აგროტექნიკურ კანონიერებათა დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსი. ადგილი აქვს სამუშაოთა უხარისხოდ მოწყობის შემთხვევებს. ამ ნაკლოვანებებს შეეხო თავის გამოსვლაში მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, დილეგატი **ბ. მაისაშვილი**, რომელმაც ამასთანავე ერთად გააკრიტიკა ზოგიერთი რესპუბლიკური სამინისტრო ქალაქებით გატაცების გამო.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ არარაციონალურად იყენებენ სარწყავ წყალს, არ ჰყოფნით მრწყველთა კადრები, რაზეც ილაპარაკა კერძოდ თავის გამოსვლაში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსმა, დელეგატმა **გ. გრიგალაშვილმა.**

დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტურ კანონიერებათა დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებებს შეეხო ქალაქთის მონაწილე დელეგატი, რაიონის პროკურორი **ვ. ბერძენიშვილი.**

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ყველა ეს ნაკლოვანება მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ზოგან ყველა რგოლი შეწყობილად, ზუსტად, დღეკვანდელი დღის მოთხოვნათა შესაბამისად არ მოქმედებს, ყველგან სათანადოდ არ ჩქეფს იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა, ნელა ინერგება მოწინავეთა გამოცდილება, მოისუსტებს კომუნისტთა ავანგარდული როლი.

ცნობილია, რომ იმ ამოცანათა შორის, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, მნიშვნელოვანია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, საბჭოთა ადამიანების სოციალური ურთიერთობის სრულყოფა, ახალგაზრდობის აღზრდა. სწორედ ამაზე „გაამახვილეს ყურადღება თავიანთ გამოსვლებში დელეგატებმა— მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ჟ. გუჯეჯიანმა,** კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ხვედელიძემ,** ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. ოშხნელმა,** რაიგაზეთის „გამარჯვების გზის“ რედაქტორმა **ლ. კაკიაშვილმა.**

პარტიულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე.**

გ. ზუკაკიშვილი.
რ. ბასილაშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურში“ სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს კომკავშირელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ნუნუ მოდებაძე. **სურათზე:** ნ. მოდებაძე მუშაობს დროს.

ფოტო ა. ვაჩიანისა.

ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲝᲡᲢᲐᲢᲘ, ᲛᲣᲨᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ კადრებთან მუშაობა სამრეწველო საწარმოებში ამჟამად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა. ეს გასაგებიც არის. ჩვენს სამრეწველო კოლექტივებში თანდათან იზრდება ახალგაზრდობის რიცხვი, და თუ მათი პროფესიული დაოსტატება დროულად არ მოხდა, კოლექტივების წარმატება წარმოუდგენელია. ამიტომ საწარმოთა ადმინისტრაცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ბრძოლავენ ახალბედების დოსტატებისათვის. მაგრამ ამ დიდ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა მაინც ოსტატებს, ახალგაზრდა კადრების უშუალო აღმზრდელებს, გვეკუთვნის, ოსტატი ხომ ყოველთვის მუშის გვერდით არის, უკეთ ხედავს მის საქმიანობას, ყოველდღიურად ამოწმებს ნორმების შესრულებას, ასწავლის, ზრდის მას.

თუ ოსტატი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, თუ იგი ტემპარატი აღიზრდელი და მასწავლებელია, უყვარს საკუთარი საქმე, მაშინ ახალბედების დოსტატებაც დაჩქარდება და შრომის ნაყოფიერების ზრდაც უზრუნველყოფილია.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ოსტატის როლზე. ეს კარგია. მაგრამ აუცილებელია ამ საქმეს ერთი მიმართულება მიეცეს — მოეწყოს ოსტატთა გამოცდილების გაზიარება, რომ შეეძლოთ გადმოვიღოთ და მუშაობის პრაქტიკაში დანერგოთ ძველი და ახალი თაობის საუკეთესო ოსტატების შრომითი გამოცდილება. ჩვენი აზრით, ბევრი ოსტატის შრომითი გამოცდილება ყურადღების ღირსია. შორს არ წავალთ. საუკეთესო ოსტატები ეოტანი როდი არიან ჩვენს კოლექტივში — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. სწორედ მათი გამოცდილების გაზიარებით, საუკეთესოთა მიბაძვით დაიწყო შრომა ახალგაზრდულმა ცვლამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

საქსოვი წარმოების მოსამზადებელი საამქროს ახალგაზრდული ცვლა, რომელშიც 105 მუშაა, ერთ-ერთი მოწინავეა საწარმოს მრავალრიცხოვან კოლექტივში. გადამზვავების, მაორფებლების, მგრეხავების, მქსელავების საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა უკვე ფლობს რამდენიმე პროფესიას, უკლებლივ ყველა წევრი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. შრომის შესანიშნავ მაგალითს აჩვენებს ცვლის ხუთივე ბრიგადა.

მახსოვს, როცა ჩვენი ცვლა შეიქმნა, ძალიან გვიჭირდა. ახალბედ მუშები ზრდელებს, გვეკუთვნის, ოსტატი ხომ ყოველთვის მუშის გვერდით არის, უკეთ ხედავს მის საქმიანობას, ყოველდღიურად ამოწმებს ნორმების შესრულებას, ასწავლის, ზრდის მას.

ოსტატი ცვლაში ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ სამუშაოს ასრულებს. მის უნარსა და გამოცდილებაზე ბევრად არის დამოკიდებული კოლექტივის შეუფერხებელი მუშაობა, მაგრამ ამ წმიდა პრაქტიკულ საქმესთან ერთად აუცილებელია ჩასწვდე თვითეული მუშის შესაძლებლობებს, გამოიცნო მუშის ხასიათი, იცოდე კოლექტივის თვითეული წევრის ძლიერი და სუსტი მხარე. მე ცვლა რომ ჩავიბარე, შრომა ასე დავიწყე: სამუშაო ადგილები გავანაწილე, თვითეულ ბრიგადას დავალება მივეცი, უზრუნველყავი ნედლეულის შეუფერხებლად მოზიდვა, გავზარდე მომთხოვნელობა, სისტემატიურად დავიწყე დავალების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება. ვიცოდი, რომ ახალბედა მუშას ორმაგი ყურადღება სჭირდება; ხშირად ხდება ასე: რაკი მუშა ახალბედაა, მას დიდ მოთხოვნებს არ უყენებენ, ამიტომ უნერგავენ მას იმ აზრს, თითქოს ბევრის გაკეთება არ შეუძლია, ერთი სიტყვით, უკარგავენ საკუთარი შესაძლებლობის რწმენას. მე ასე არ მოვქცეულვარ. ვგრძნობდი, რომ საქმე ყველას უყვარდა, ენთუზიაზმი არ აკლდათ, ამიტომ თავიდანვე ყველას დიდი მოთხოვნა წავუყენე. სისტემატურად წავახალისებდი მათ, ვინც უკეთ შრომობდა, მოწინავეთა გამოცდილებას ყველას ვაცნობდი.

ეზოდან ასალმაძე, ეკუნუნა ორჯონიკიძე და ციალა მახარობლიძე ჩვენს ცვლაში ოთხი წლის წინათ მოვიდნენ. მუყაითი გოგონები ჩანდნენ, ამიტომ მათ მაღალი მოთხოვნა წავუყენე. რა თქმა უნდა, სიფელგვარ დახმარებას ვუწევდით, უკვე გამოცდილი მუშების ვერდით დავაყენებდით, რომ რაც შეიძლება ნაკლ ჩამდგარიყვნენ საერთო ფერხულში. ასეც მოხდა, გოგონებმა ნორმების შესრულება დაიწყეს, გააჩაღეს შეჯიბრება დროის ეკონომიისათვის. სწორედ მათი ინიციატივის შედეგია ის, რომ ამჟამად ცვლაში სამუშაოდ 7.000 მეტრი ქსელისა და 1,6 ტონა მისაქსელის ნაცვლად ვუშვებთ 8.500 მეტრ ქსელსა და 2,5 ტონა მისაქსელს. მარტო ქსელის გამოშვებაზე ცვლა თვეში ზოგავს დაახლოებით ხუთ სრულ სამუშაო დღეს და გეგმის გადამეტებით ამზადებს 30 ათასამდე მეტრ პროდუქციას. ინიციატორი გოგონები ნორმებს 160-180 პროცენტით ასრულებენ, ისინი მუშა-უნივერსალები არიან და წარმოების ყველა უბანზე შეუძლიათ იშრომონ.

ჩვენმა ცვლამ დიდ წარმატებას მიაღწია. მან კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის ცვლის საპატიო წოდება მოიპოვა. გეგმები ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება. როგორ შეძლო ეს ჩვენმა კოლექტივმა? შრომის მაღალი დისციპლინით, ენთუზიაზმით, ურთიერთდახმარებით, მაღალი პასუხისმგებლობით. მე, როგორც ოსტატს, მუშის არც ერთი შემთხვევა, კარგიც და ცუდიც შეუნიშნავი არ მრჩება. მაგალითად, ჩვენთან არის ერთი მოწინავე მაორფებელი მუშა, რომელმაც ერთხელ სამუშაო უმიზეზოდ გააცდინა. მართალია, იგი მოწინავეა, მაგრამ შრომის დისციპლინის დარღვევა არ ვაპატიეთ, საერთო მსჯელობის საგნად ვაქციეთ, თუმცა ვიცოდით, რომ კოლექტივი მისი დასჯის უფლებას არ მოგვცემდა. მაგრამ ჩვენ ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ მეშას ეგრძნო როგორ აფასებენ მას კოლექტივის წევრები, რომ მას ავტორიტეტი აქვს და მის ცუდ მაგალითს ბევრი ზიანის მოტანა შეუძლია. ასეც მოხდა. მუშებმა გაკიცხეს იგი, მაგრამ მოთხოვეს გვეპატიებინა. ამის შემდეგ შრომის დისციპლინის დარღვევა აღარ მომხდარა.

შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად დიდ ყურადღებას ვაქცევდით მომიჯნავე პროფესიების შესწავლის საქმეს, თანმიმდევრულად გავაგრძობდით მუშათა დოსტატებას. შედეგი კარგია, უკვე გვყავს მუშა-უნივერსალები, ხოლო 40-ზე მეტი ახალგაზრდა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას ამზადებს, მთ ტექნიკური კონტროლი არ სჭირდებათ.

მაგრამ მეტი წარმატებისათვის შრომა არ შეგვნელებია. ახლა იმისათვის ვიბრძვიდით, რომ მოწინავე მუშათა მიერ ნორმების შესრულების დონემდე ავიყვანოთ ცვლის ყველა წევრის შრომის მაჩვენებლები. ვიცით, ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდული ენთუზიაზმის გვჯერა.

ო. თეთრაშვილი,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ახალგაზრდული ცვლის ოსტატი.



ᲝᲡᲢᲐᲢᲘ, ᲛᲣᲨᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ზრდელებს, გვეკუთვნის, ოსტატი ხომ ყოველთვის მუშის გვერდით არის, უკეთ ხედავს მის საქმიანობას, ყოველდღიურად ამოწმებს ნორმების შესრულებას, ასწავლის, ზრდის მას.

თუ ოსტატი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, თუ იგი ტემპარატი აღიზრდელი და მასწავლებელია, უყვარს საკუთარი საქმე, მაშინ ახალბედების დოსტატებაც დაჩქარდება და შრომის ნაყოფიერების ზრდაც უზრუნველყოფილია.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ოსტატის როლზე. ეს კარგია. მაგრამ აუცილებელია ამ საქმეს ერთი მიმართულება მიეცეს — მოეწყოს ოსტატთა გამოცდილების გაზიარება, რომ შეეძლოთ გადმოვიღოთ და მუშაობის პრაქტიკაში დანერგოთ ძველი და ახალი თაობის საუკეთესო ოსტატების შრომითი გამოცდილება. ჩვენი აზრით, ბევრი ოსტატის შრომითი გამოცდილება ყურადღების ღირსია. შორს არ წავალთ. საუკეთესო ოსტატები ეოტანი როდი არიან ჩვენს კოლექტივში — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. სწორედ მათი გამოცდილების გაზიარებით, საუკეთესოთა მიბაძვით დაიწყო შრომა ახალგაზრდულმა ცვლამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

საქსოვი წარმოების მოსამზადებელი საამქროს ახალგაზრდული ცვლა, რომელშიც 105 მუშაა, ერთ-ერთი მოწინავეა საწარმოს მრავალრიცხოვან კოლექტივში. გადამზვავების, მაორფებლების, მგრეხავების, მქსელავების საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა უკვე ფლობს რამდენიმე პროფესიას, უკლებლივ ყველა წევრი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. შრომის შესანიშნავ მაგალითს აჩვენებს ცვლის ხუთივე ბრიგადა.

ცვლის თითქმის ყველა წევრმა გააანალდა პირადი დავალება. ეს ბევრს ნიშნავდა. ახლა უფრო დიდ საქმეზე ფიქრიც შეიძლებოდა.

ოსტატი ცვლაში ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ სამუშაოს ასრულებს. მის უნარსა და გამოცდილებაზე ბევრად არის დამოკიდებული კოლექტივის შეუფერხებელი მუშაობა, მაგრამ ამ წმიდა პრაქტიკულ საქმესთან ერთად აუცილებელია ჩასწვდე თვითეული მუშის შესაძლებლობებს, გამოიცნო მუშის ხასიათი, იცოდე კოლექტივის თვითეული წევრის ძლიერი და სუსტი მხარე. მე ცვლა რომ ჩავიბარე, შრომა ასე დავიწყე: სამუშაო ადგილები გავანაწილე, თვითეულ ბრიგადას დავალება მივეცი, უზრუნველყავი ნედლეულის შეუფერხებლად მოზიდვა, გავზარდე მომთხოვნელობა, სისტემატიურად დავიწყე დავალებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება. ვიცოდი, რომ ახალბედა მუშას ორმაგი ყურადღება სჭირდება; ხშირად ხდება ასე: რაკი მუშა ახალბედაა, მას დიდ მოთხოვნებს არ უყენებენ, ამიტომ უნერგავენ მას იმ აზრს, თითქოს ბევრის გაკეთება არ შეუძლია, ერთი სიტყვით, უკარგავენ საკუთარი შესაძლებლობის რწმენას. მე ასე არ მოვქცეულვარ. ვგრძნობდი, რომ საქმე ყველას უყვარდა, ენთუზიაზმი არ აკლდათ, ამიტომ თავიდანვე ყველას დიდი მოთხოვნა წავუყენე. სისტემატურად წავახალისებდი მათ, ვინც უკეთ შრომობდა, მოწინავეთა გამოცდილებას ყველას ვაცნობდი.

ეზოდან ასალმაძე, ეკუნუნა ორჯონიკიძე და ციალა მახარობლიძე ჩვენს ცვლაში ოთხი წლის წინათ მოვიდნენ. მუყაითი გოგონები ჩანდნენ, ამიტომ მათ მაღალი მოთხოვნა წავუყენე. რა თქმა უნდა, სიფელგვარ დახმარებას ვუწევდით, უკვე გამოცდილი მუშების ვერდით დავაყენებდით, რომ რაც შეიძლება ნაკლ ჩამდგარიყვნენ საერთო ფერხულში. ასეც მოხდა, გოგონებმა ნორმების შესრულება დაიწყეს, გააჩაღეს შეჯიბრება დროის ეკონომიისათვის. სწორედ მათი ინიციატივის შედეგია ის, რომ ამჟამად ცვლაში სამუშაოდ 7.000 მეტრი ქსელისა და 1,6 ტონა მისაქსელის ნაცვლად ვუშვებთ 8.500 მეტრ ქსელსა და 2,5 ტონა მისაქსელს. მარტო ქსელის გამოშვებაზე ცვლა თვეში ზოგავს დაახლოებით ხუთ სრულ სამუშაო დღეს და გეგმის გადამეტებით ამზადებს 30 ათასამდე მეტრ პროდუქციას. ინიციატორი გოგონები ნორმებს 160-180 პროცენტით ასრულებენ, ისინი მუშა-უნივერსალები არიან და წარმოების ყველა უბანზე შეუძლიათ იშრომონ.

ჩვენმა ცვლამ დიდ წარმატებას მიაღწია. მან კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის ცვლის საპატიო წოდება მოიპოვა. გეგმები ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება. როგორ შეძლო ეს ჩვენმა კოლექტივმა? შრომის მაღალი დისციპლინით, ენთუზიაზმით, ურთიერთდახმარებით, მაღალი პასუხისმგებლობით. მე, როგორც ოსტატს, მუშის არც ერთი შემთხვევა, კარგიც და ცუდიც შეუნიშნავი არ მრჩება. მაგალითად, ჩვენთან არის ერთი მოწინავე მაორფებელი მუშა, რომელმაც ერთხელ სამუშაო უმიზეზოდ გააცდინა. მართალია, იგი მოწინავეა, მაგრამ შრომის დისციპლინის დარღვევა არ ვაპატიეთ, საერთო მსჯელობის საგნად ვაქციეთ, თუმცა ვიცოდით, რომ კოლექტივი მისი დასჯის უფლებას არ მოგვცემდა. მაგრამ ჩვენ ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ მეშას ეგრძნო როგორ აფასებენ მას კოლექტივის წევრები, რომ მას ავტორიტეტი აქვს და მის ცუდ მაგალითს ბევრი ზიანის მოტანა შეუძლია. ასეც მოხდა. მუშებმა გაკიცხეს იგი, მაგრამ მოთხოვეს გვეპატიებინა. ამის შემდეგ შრომის დისციპლინის დარღვევა აღარ მომხდარა.

შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად დიდ ყურადღებას ვაქცევდით მომიჯნავე პროფესიების შესწავლის საქმეს, თანმიმდევრულად გავაგრძობდით მუშათა დოსტატებას. შედეგი კარგია, უკვე გვყავს მუშა-უნივერსალები, ხოლო 40-ზე მეტი ახალგაზრდა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას ამზადებს, მთ ტექნიკური კონტროლი არ სჭირდებათ.

მაგრამ მეტი წარმატებისათვის შრომა არ შეგვნელებია. ახლა იმისათვის ვიბრძვიდით, რომ მოწინავე მუშათა მიერ ნორმების შესრულების დონემდე ავიყვანოთ ცვლის ყველა წევრის შრომის მაჩვენებლები. ვიცით, ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდული ენთუზიაზმის გვჯერა.

ო. თეთრაშვილი,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ახალგაზრდული ცვლის ოსტატი.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

სასტიკი ბრძოლა — გაფლანგვა-დაფაციებასა და მეძრთამეობას

ᲖᲐᲘᲛᲔᲠᲗᲣ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული სხდომა. სხდომას დაესწრნენ რესპუბლიკის შემოქმედებით ორგანიზაციათა წარმომადგენლები, დიდაქალაქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის ზოოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა ი. თავაძემ. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კ. კეთილაძემ. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ მილიციის ორგანოების მუშაობა სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისა და გაფლანგვა-დაფაციებათა და მეძრთამეობის აღმოფხვრის დარგში. აღინიშნა, რომ ერთგვარად ამაღლდა აქტიურობა შენიღბული დაფაციების, სპეკულაციის, მეძრთამეობის ფაქტების გამოსავლინებლად. ამას წინათ, მაგალითად, გამოაშკარავეს დამნაშავეთა ჯგუფი, რომელიც დიდხანს მოქმედებდა თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკაში და დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა სახელმწიფოს.

პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები იღებენ სიგნალებს ისეთი დანაშაულის ჩადენების შესახებ, როგორიც არის მეძრთამეობა, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში.

უკანასკნელ დროს ჩვენში, საზეგასმით აღინიშნა მომხსენებელმა, გაფართოვდა საზოგადოებრიობის მონაწილეობა მართლწესრიგის განმტკიცებაში. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საზოგადოებ

საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების კურსი

უველა ქვეყნის გაზეთები, რადიო და ტელევიზია ფართოდ აშუქებენ და განიხილავენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ევროპაში საბჭოთა სომხეთისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის გამო.

ბუდაპეშტი. „მადიარ ჰირლაპი" პირველ გვერდზე მსხვილი სათაურით აქვეყნებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დაწვრილებითს შინაარსს. გაზეთი ხაზს უსვამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვებს, რომ საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები. გაზეთი წერს, რომ მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირში მოიწევა მარცვლეულისა და ბამბის ყველაზე უხვი მოსავალი მთელი ისტორიის მანძილზე.

პრაღა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ხაზს უსვამს „რუდე პრავო", გადაჭრით დაგმო ამერიკის ავიაციის პროვოკაციული თავდასხმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და კვლავ განაცხადა, რომ ვიეტნამელი ხალხის საბრძოლო ერთიანობა ეგვიპტის ხალხის ბრძოლას, ებრაელ ხალხებს ებრძოლებიან ერთ-ერთ ფრონტზე, ებრძოლებიან ერთ-ერთ ფრონტზე, ებრძოლებიან ერთ-ერთ ფრონტზე.

ბერლინი. „ნეუეს დეუტშლანდი" ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივას, ეს ინიციატივა ეხმარება ევროპის ხალხებს, ეხმარება ევროპის ხალხებს, ეხმარება ევროპის ხალხებს,

საქართველოს ქთა-ბაჯი

შესანიშნავი მეგობრობა

კოსმონავტი გ. ბერეგოვოი თბილისის სამხატვრო აკადემიის საგბოს საპატიო წევრია

მფრინავი-კოსმონავტი, ავიაციის გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი თბილისში სტუმრობს დროს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საქმიანობასაც, გაეცნო. სპატიო სტუმარს სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითს ცხოვრებაზე ესაუბრა აკადემიის რექტორი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, პროფესორი ა. ქუთათელაძე.

კოსმონავტის ინტერესი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სამხატვრო აკადემია საბჭოთა ხელისუფლების დროს დაარსდა და ამ ხნის მანძილზე მან აღზარდა 2.000-მდე მხატვარი. ახლა აკადემიაში 16 კათედრაა. სხვადასხვა დარგებზე 1.200-მდე სტუდენტი სწავლობს. მათს აღზრდას იმსახურებს 300-მდე პროფესორ-მასწავლებელი. აკადემიას აქვს საკუთარი ლაბორატორია-ქარხნები. აქ მუშაობენ მსოფლიოში სახელგანთქმული ხელოვნების დიდოსტატები. აკადემიის აღზრდილებს სხვადასხვა დროს მოუპოვებიათ ჯილდოები საერთაშორისო ფორუმებზე.

კოსმონავტი გაეცნო მხატვრართა ბოლო ნამუშევრებს, დაათვალიერა სამხატვრო აკადემიის მუზეუმი, მხატვართა ფონდი, საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები, ესაუბრა პროფესორ-მასწავლებლებს.

კოსმოსის გმირმა სამხატვრო აკადემიის კოლექტივს მოუთხრო კოსმოსური სივრცის საოცარ ფერებზე, მათს სიმფონიაზე.

ახლახან შედგა აკადემიის საბჭოს სხდომა, რომელზეც გ. ბერეგოვოი ერთხმად იქნა არჩეული აკადემიის საბჭოს საპატიო წევრად. საბჭოს სახელით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორმა პროფესორმა ა. ქუთათელაძემ ეს აცნობა გმირ კოსმონავტს და მხურვალედ მიეფოფიცა საბჭოს საპატიო წევრად არჩევა.

ს. ნაციაშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

პირველი კერა

ქუთაისი. (საკ. კორ.). **მუშაობა დაიწყო საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფტექნიკურმა სასწავლებელმა, რომელიც ამ ტიპის პირველი სასწავლო კერაა მთელ დასავლეთ საქართველოში.**

სასწავლებელი ყოველწლიურად სხვადასხვა კვალიფიკაციის სამასამდე ახალგაზრდას მოამზადებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის.

ავტომანქანები — უფასოდ

თელავი. (საკ. კორ.). მარტო წლეულს 11 თვეში თელავის რაიონში მცხოვრებმა სამამულო ომის ინვალიდმა, ნ. ბაიაშვილმა, გ. შაქარაშვილმა, შ. სეიმონიშვილმა, ვ. თუშიშვილმა, ს. ლეგაშვილმა და ს. გიორგაძემ უფასოდ მიიღო მსუბუქი ავტომანქანა.

დიდი სამამულო ომის ინვალიდებმა უფასოდ მიიღეს აგრეთვე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები. განვლილ 11 თვეში რაიონიდან ასეთი დახმარებით ისარგებლა 14 კაცმა.

აღფრთოვანდება ქვერნაქის ფერადოვნებები

გორელი მშრომელები შაბათობაზე

გორელები ენერგიულად შრომობენ ხეების დარგვის საიუბილეო ვალდებულებების შესრულებისათვის. ამისათვის მთელ რაიონში მასობრივად ეწყობა შაბათობები. ხუმრობა საქმე როდია ორი მილიონი ძირი ხის დარგვა!

გორელებმა თავიანთი მიწაწყლის სიყვარული ერთხელ კიდევ იმით დაამტკიცეს, რომ ამ დღეებში მოწყობილ შაბათობაზე ქუდზე კაცი გამოვიდა ხრიოკი ადგილების გასატყევებლად და გასალამაზებლად. დილიდანვე აახმაურეს ქვერნაქის მთების ფერადობები, აქ მოვიდნენ პარტიის გორის რაიკომის, რაიაღმასკომის, კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელი ამხანაგები და აპარატის მუშაკები, რაიმილიციის, საქსოფლტექნიკის, დამზადების კანტორის, რაიკავშირის, სატყეო მეურნეობების მუშაკები და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციების მშრომელები. აქვე არიან გორის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტები.

მოვიდნენ და ხალისით შეუდგნენ მელოტი მთების ფერადობების გამწვანების სამუშაოთა შესრულებას. საგულდაგულოდ თხრიან ორმოებს მწვანე ნერგებისათვის. მათი შრომითი ენთუზიაზმი და საქმისადმი სეროზული მიდგომა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ყველას ღრმად აქვს შეგნებული ამ საშვილიშვილო საქმის მნიშვნელობა.

შაბათობაზე დიდძალი ხალხი მოვიდა. არც თუ ისე ადვილია ყველასთან მისვლა და გასაუბრება. მოვნახეთ რაიონის სამშენებლო-სარემონტო უბნის უფროსი დ. ჩუტკერაშვილი. მან თქვა:

— ხის დარგვა ადვილია, საქმე მისი გახარებაა. ბევრგან მინახავს დარგული ხე, უყურადღებობით რომ ხმება, უქმად იკარგება გაწეული შრომა. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის მშრომელებმა მოვილაპარაკეთ, შრომამ უქმად რომ არ ჩაგვიაროს, მისი ნაყოფით ჩვენცა და სხვამაც რომ გაიხაროს, გადავწყვიტეთ სამი წლით ჩავიბაროთ თუნდაც ეს ნაკვეთი, რომელიც დღეს მოგვიზომეს. როცა ყველა ნერგი გაიხარებს, მხოლოდ ამის შემდეგ გადავცემთ სატყეო მეურნეობას.

— მეც თანახმა ვარ, მომწონს დავითის ინიციატივა; ვიცი, ჩვენი ორგანიზაციის ყველა მშრომელი გაიზიარებს და მხარს დაუჭერს ამ წინადადებას, — თქვა გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარემ ს. ტატუნაშვილმა.

მარტო ქვერნაქის ფერადობებზე კი არა, შაბათობა რაიონის მრავალ სოფელში მოეწყო. გორელები ვალს იხდიან თავიანთი შთამომავლობის წინაშე, ხეებს რგავენ გზის ნაპირებზე, პარკებში, სკვერებში, სკოლების, საავადმყოფოების და სხვა საწარმო-დაწესებულებების ეზოებში. შენდება აგრეთვე ჭარსაფარი ზოლები, ნერგებით მაგრდება ეროზირებული ნიადაგები.

რაც დრო გადის, ქვერნაქის ფერადობებს ადამიანის ხელი ეტყობა. ერთმეორის მიყოლებით ჩამწკრივდნენ ხის ჩასარგავი ამოთხრილი ორმოები და მათ ნაპირებზე პატარა მიწაყრილები. დღის მეორე ნახევარია და მუხლი არავის მოუხრია. ყველა ცდილობს ადრე დამთავროს მიზომილ ნაკვეთებზე ორმოების ამოთხრა. აქ უკვე ათიათასზე მეტი ორმო გაითხარა. მალე ამ ორმოებში ახალ სიცოცხლეს დაიწყებენ მწვანე მეგობრები, ქვერნაქის შიშველ ფერადობებზე აშრიალდება ბუნების მშვენება — ტყე. („კომუნისტის“ საკ. კორ.).

* * *

სურამში: გორის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტები შაბათობაზე. მათ ასობით ორმო გათხარეს და ნერგი დარგეს.

ფოტო **შ. კუკულავასი.**

50.000.000

ვ. ლალიაშვილი

ვ. ლალიაშვილი (ბოლშევიკი) სამ ფერი 1920 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ალექსანდრა ალექსანდრეს ასულ ლალიაშვილი.

ვ. ლალიაშვილი დაიბადა 1890 წელს სოფელ ბაზალეთში (დუშეთის რაიონი) გლეხის ოჯახში. 1918 წელს იგი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და იღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში.

1918 წელს იგი არჩეულ იქნა დუშეთის მაზრის პარტკომის წევრად და ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა დუშეთის შეიარაღებულ ჯარებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წლიდან 1926 წლამდე ლალიაშვილი მუშაობდა დუშეთის სამაზრო აღმასკომში მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ. 1924 წელს არჩეული იყო პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტისა და მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა სამაზრო აღმასკომის შემადგენლობაში.

ლალიაშვილი არჩეული იყო საქართველოს კპ III ყრილობის დელეგატად. 1925 წლიდან 1955 წლამდე ვ. ლალიაშვილი მუშაობდა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო სამუშაოებზე, ხოლო 1955 წლიდან იყო პერსონალური პენსიონერი.

ვ. გ. ლალიაშვილის შრომა დიდად დაფასებულ პარტიამ და ხელისუფლებამ. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით და მედლებით.

გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის ვ. ლალიაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება, მის მეგობრებსა და ამხანაგებში.

ამხანაგების ჯგუფი.

რა არ ხდება ქვეყანაზე!

463 დღე მიწის ქვეშ

ეუგოსლავიელმა სპელეოლოგმა მილუტინ ველკოვიჩმა 11 ათას საათზე მეტი გაატარა მიწისქვეშა გამოქვაბულში.

ეს საინტერესო ექსპერიმენტი დაიწყო გასული წლის 24 ივნისს იუგოსლავიის სტრლიშის მთების დასავლეთ ნაწილში სოფელ კოპაიკოშარეს მახლობლად. ამ დღეს 34 წლის სპელეოლოგი შევიდა გამოქვაბულში, რომლის შესასვლელი შემდეგ უზარმაზარი ქვებით ამოვსეს. მიწისქვეშა ცხოვრებისათვის საჭირო აუცილებელი პროდუქტი თუ მოწყობილობა წინასწარ იქნა გამოქვაბულში შეტანილი. ექსპერიმენტის მიზანი იყო ადამიანის მიწისქვეშ ყოფნის შესაძლებლობის ხანგრძლივობის შესწავლა გარე სამყაროსგან მოწყვეტით. ამასთან სპელეოლოგს თან ჰყავდა წაყვანილი ძაღლი სახელად ბიგი, კატა, ქათმები და გარეული იხვი, რათა ედევნებინა თვალი მათი ქცევისათვის უჩვეულო პირობებში.

თანდათანობით მ. ველკოვიჩი შეეგუა გარე სამყაროს და მიწის ქვეშ ყოფნის ზუსტად ერთი წლის თავზე მიმდინარე წლის 24 ივნისს გამოქვაბულიდან გამოუსვლელად ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს. მისი ხმა ძლივს ისმოდა ქვებით ამოქოლილი შესასვლელიდან. მან თქვა, რომ თავს ძირითადად კარგად გრძნობს, მხოლოდ ხანდახან აქვს ჰალუცინაციები. სპელეოლოგმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე გაუძლოს ამ გამოცდას, ე. ი. მიწისქვეშ გაატაროს 463 დღე, როგორც თავიდან ჰქონდა გათვალისწინებული.

და მან შეასრულა სიტყვა. დადგა ნანატრი დღე. ათასობით აღელვებული ადამიანი შეიკრიბა გამოქვაბულთან, რომელიც ახლა მილუტინ ველკოვიჩის სახელს ატარებს. სპელეოლოგს გულთბილად მიესალმნენ და მიუღოცეს მიწისქვეშ ყოფნის ხანგრძლივობის ახალი რეკორდის დამყარება, რომელიც ადრე ფრანგ ა. გიუიოს ეკუთვნოდა. იქვე მყოფმა ექიმებმა აღნიშნეს სპელეოლოგის ნორმალური მდგომარეობა. გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდეგ უფრო ღრმა სამედიცინო გამოკვლევისათვის იგი იუგოსლავიის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გაგზავნეს.

იუგოსლავიის სპელეოლოგთა საზოგადოებების კავშირის თავმჯდომარემ იოვან პეტროვიჩმა აღნიშნა, რომ მ. ველკოვიჩმა შეაგროვა საინტერესო ინფორმაცია, რომელსაც სპეციალისტები დაამუშავებენ. მაგრამ უკვე ახლა ნათელია, რომ მ. ველკოვიჩის ცდებმა უარყვეს ზოგიერთი მეცნიერის მტკიცება იმის შესახებ, რომ შინაურ ცხოველებს არ შეუძლიათ მიწისქვეშ იცხოვრონ 30-40 დღეზე მეტი. (საკდესი).

* * *

სურამში: მილუტინ ველკოვიჩი გამოქვაბულიდან გამოსვლის წინ.

მაიმუნების შემოსევა

რამდენიმე ათასი მაიმუნი მოულოდნელად დაესხა თავს ნიგერიის რივერსის შტატის პატარა ქალაქ ოტესეგას და ადგილობრივ მცხოვრებთა პანიკა გამოიწვია. მცირე ხნით მთელი ქალაქი მაიმუნების ხელში აღმოჩნდა. გაზეთ „დეილი ტაიმსის“ აზრით, ცხოველები ქალაქში შემოიჭრნენ იმიტომ, რომ „შეეშინდათ“ წყალდიდობისა, რომელმაც მათ საცხოვრებელ ადგილებში ტყე დატბორა. ადამიანებმა მალე დაძლიეს შიში და საერთო ძალით მოახერხეს მაიმუნების კვლავ გარეკვა ჯუნგლებში.

სპილოების... სკოლა

კუნძულ ცეილონზე არსებობს სკოლა... სპილოებისათვის. აღსაზრდელებმა რვა თვის განმავლობაში (ასეთია სწავლების ხანგრძლივობა) უნდა შეისწავლონ რამდენიმე ძირითადი „საგანი“, ესენია ტანვარჯიში, მინდვრად მუშაობა, ტყის ამოძირკვა, სიმძიმეების გადატანა, ადამიანების გადაყვანა, სიარულის მანერისა და ქცევის ეტიკეტის გამომუშავება. სკოლას საკმაო მიღწევები აქვს. გარდა ამისა, გაწვრთნილი სპილოები ადამიანს იხმარებიან თავიანთი თავისუფალი თანამოძმეების დაჭერაში, რომლებსაც შემდეგ ამ სასწავლებლში ჩარიცხავენ ხოლმე.

ფინალისტი ჯოჯუა

დანინაურდა ულმანი

მალიორკის საზონათაშორისო

მალიორკის საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეთექვსმეტე ტურში დაწინაურდა ულმანი. იგი სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე ტიმანოვს, მოაგროვა 10,5 ქულა და ახლა სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს.

წინა ტურში წარუმატებლობის შემდეგ პოლუგაევსკიმ დაამარცხა ადამსონი. ლარსენმა მოუგო პანოს, ხიმენესმა — ფილიპს. ჰორტმა დაამარცხა მინიჩი, ნარანიამ — რეშევსკი. რუბინეტი-სალუნის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ხუთი პარტია გადაიდო. ეს არის გელერ-სმისლოვის, უიტუმენ-ფიშერის, პორტიშ-გრიგორიჩის, მეკინგ-მატეოლოვიჩისა და იკოვა-ჰიუბნერის პარტიები.

ფინიშის სიმწვავე უკვე იგრძნობა ფავორიტების ტაქტიკაში. არცთუ ისეთ საშიშ მატოქეებთანაც კი ლიდერები ახლა ზოგჯერ ყაიმს სჯერდებიან, რათა ნელა, მაგრამ უფრო გულდაჯერებით მიუახლოვდნენ „გამსვლელი ქულის“ — 14 ქულის მიჯნას. ამ მიჯნამ, სპეციალისტთა აზრით, უნდა გადაწყვეტოს მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლის გაგრძელების უფლება.

ლიდერებს ჩამორჩენილი გროსმაისტერები კი ყოველნაირად ცდილობენ დაკარგულის ანაზღაურებას. მაგალითად, პოლუგაევსკიმ პირდაპირ გაანადგურა ადისონი. ლარსენმა კი 42-ე სვლაზე დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა პანოსთან ორთაბრძოლაში. ჰორტი, რომელმაც წარუმატებლად აიღო სტარტი, პირდაპირ გარდაიქმნა: უკვე 27-ე სვლაზე მან მინიჩი აიძულა გაეჩერებინა სათი. პორტიშ-გლიგორიჩის დაუმთავრებელ პარტიაში უნგრელ გროსმაისტერს ზედმეტი პაიკი და გამარჯვების შანსი აქვს.

ჟკომპრომისო ბრძოლით აღინიშნა გელერის შეხვედრა სმისლოვთან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს თავისი სატურნირო მდგომარეობის გამო, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა ყაიმი, მაგრამ დიდი სურვილის მიუხედავადაც კი გამარჯვება გელერთან მეტად ძნელი საქმეა. გადადებული პოზიცია ორივე გროსმაისტერის საგულდაგულო ანალიზს მოითხოვს.

უიტუმენმა ფიშერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, და ახლა გადადებულ მდგომარეობაში პარტნიორებს თანაბარი მატერიალური ძალები აქვთ: თითო მსუბუქი ფიგურა და ოთხ-ოთხი პაიკი. ერთი სიტყვით, ამერიკელი გროსმაისტერი წარმატების იმედს არ კარგავს ამ ენდშპილში.

აი როგორ გამოიყურება ახლა ლიდერთა ჯგუფი: ულმანი — 10,5; ფიშერი — 10 (თითო გამოტოვებული და გადადებული პარტია), გელერი — 10 (ერთი), ტიმანოვი — 10, გლიგორიჩი — 9,5 (ერთი), ლარსენი — 9,5, მეკინგი — 9 (ერთი), პოლუგაევსკი და პანო — 9-9 ქულა. (საკდესი).

კალათბურთი

კუტსაიდერის გამარჯვება

მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ტარტუს „კალევისა“ და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდები. მინსკელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს, დაამარცხეს მეტოქე 67:65 (39:34).

პირველი დამარცხება განიცადა კაუნასის „ჟალგირისმა“. მან წააგო მატჩი რიგაში ადგილობრივ ვეფ-თან 78:83 (41:39).

რამდენიმე სტრიქონით

● **ოთხ** დღეს იყო დონის როსტოვის ჭადრაკის მოყვარულთა სტუმარი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გროსმაისტერი **მ. ბოტვინიკი.** მან ლექციები წაიკითხა „როსტსელმაშის“ ქარხანასა და სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში, გამართა ერთდროული თამაშის სეანსები. დონის როსტოვის საჭადრაკო კლუბში გროსმაისტერმა ერთდროული თამაშის სეანსი გამართა ათ დაფაზე. მან მოიგო 4 პარტია, ამდენივე ყაიმით დაამთავრა და ორი წააგო ოსტატობის კანდიდატებთან.

● **გომბიაში** სტუმრად მყოფ დონის როსტოვის ანიმის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდს ორი საერთაშორისო მატჩი ჰქონდა ქალაქ ბატერსტისა და გამბიის ნაკრებ გუნდებთან და ორივე მოიგო ანგარიშით 4:3 და 4:1.

წარსულის გაკვეთილი



ინტერვიუს იძლევა სლავა მეტრეველი

გუშინ „კომუნისტის“ რედაქციაში სტუმრად იყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **სლავა მეტრეველი.** ჩვენმა კორესპონდენტმა მას, რამდენიმე კითხვით მიმართა. გთავაზობთ ამ საუბრის შინაარსს:

როგორც გუნდის კაპიტანი, კმაყოფილი ხართ თუ არა სეზონის შედეგებით?

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უკეთესი შედეგის მიღწევა.

რით იყო გამოწვეული, რომ განვლილ ჩემპიონატზე მეტოქეთა მოედანზე ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგეთ?

მიზეზები ცოტა როდია. შემიძლია დავასახელო რამდენიმე მათგანი. უპირველეს ყოვლისა, შევეჯერდები მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ ფეხბურთელთა, მათ შორის ნაკრების წევრების — თბილისის ხუთი დინამოელის ფიზიკურ, მორალურ და ნებისყოფის სხვადასხვაგვარ ბდომობადობაზე, ამ ფაქტორების ზეგავლენის შესახებ გუნდის თამაშზე მეორე წრეში. როგორც ცნობილია, ნაკრების წევრები მეხიკოდან დაბრუნდნენ ფიზიკურად და მორალურად დათრგუნვილნი. ამას უნდა დაემატოს ხანგრძლივი ტრავმები (ჭელიძე, გავაშელი, ცხოვრებოვი).

სად იმყოფებიან ამჟამად დინამოელები?

თითქმის ყველა ერთოვიან დასვენება-მკურნალობას გადის სოჭში, ბორჯომში, წყალტუბოსა და ესენტუკში. მალე ისინი თბილისში დაბრუნდებიან და 1971 წლის სეზონისათვის მზადებას შეუდგებიან. ვარჯიშს დასახული გეგმის მიხედვით 3-4 იანვრიდან დაიწყებენ.

რა სიახლენია გუნდში მოთამაშეთა შევსების თვალსაზრისით?

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოაწყო ფეხბურთელთა გუნდების სეზონალური ტურნირი მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი, რომელშიც მონაწილეობდა ექვსი სხვადასხვა ახალგაზრდული და ნაკრები გუნდი. მატჩებს თავალიერებდა სპეციალური კომისია სპორტის დამსახურებული ოსტატის **ბორის პაიჭაძის** მეთაურობით. თამაშებს ესწრებოდა აგრეთვე სპორტის დამსახურებული ოსტატი **გბრიელ კაჩალინი.**

კომისიამ **შეარჩია** ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც ღირსნი არიან ითამაშონ ჩვენი გუნდის არა მარტო დუბლ, არამედ ძირითად შემადგენლობაში. ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე დრო არც თუ ცოტაა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გამოირკვევა, ვნახოთ, ეს ახალი მოთამაშეები როგორ გამოიჩენენ თავს.

თქვენი შეხედულებით როგორ უნდა გადწყდეს მეკარეთა საკითხი?

ეჭვს მარეშია, რომ ჩვენს მეკარეებს 1970 წლის სეზონში ბევრად უკეთესად უნდა ეთამაშონ, მაგრამ ასე არ მოხდა, იყო ჩავარდნები და არა ერთი. ახლა მწვრთნელებს შერჩეული ჰყავთ ახალგაზრდა ნიჭიერი მეკარეები — **ბერიძე, გაგოშიძე, სტეფანია.** მე ვფიქრობ, რომ ისინი ცხობილი მეკარის სპორტის დამსახურებული ოსტატის **ს. კოტრიკაძის** დახმარებით შეძლებენ და კიდევაც უნდა დაიცვან თბილისის „დინამოს“ კარი.

კი, მაგრამ ა. კავაზაშვილი? თითქოსდა მას თბილისის „დინამოში“ უნდა ეთამაშა?

რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ლონდონის ტოს ხანგრძლივი ტრავმები (ჭელიძე, გავაშელი, ცხოვრებოვი).

სად იმყოფებიან ამჟამად დინამოელები?

თითქმის ყველა ერთოვიან დასვენება-მკურნალობას გადის სოჭში, ბორჯომში, წყალტუბოსა და ესენტუკში. მალე ისინი თბილისში დაბრუნდებიან და 1971 წლის სეზონისათვის მზადებას შეუდგებიან. ვარჯიშს დასახული გეგმის მიხედვით 3-4 იანვრიდან დაიწყებენ.

რა სიახლენია გუნდში მოთამაშეთა შევსების თვალსაზრისით?

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოაწყო ფეხბურთელთა გუნდების სეზონალური ტურნირი მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი, რომელშიც მონაწილეობდა ექვსი სხვადასხვა ახალგაზრდული და ნაკრები გუნდი. მატჩებს თავალიერებდა სპეციალური კომისია სპორტის დამსახურებული ოსტატის **ბორის პაიჭაძის** მეთაურობით. თამაშებს ესწრებოდა აგრეთვე სპორტის დამსახურებული ოსტატი **გბრიელ კაჩალინი.**

ოქროს მატჩის წინ

ტაშკენტი ემზადება დიდი მატჩისათვის — მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრისათვის, რომელიც 5 დეკემბერს გაიმართება „პახტაკორის“ სტადიონზე.

არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი საზღვარგარეთ ტურნეს შემდეგ ტაშკენტს ეწვია და აქ გადის წვრთნას. პირველ დეკემბერს არმიელმა ფეხბურთელებმა გამართეს ამხანაგური მატჩი ადგილობრივ „პახტაკორთან“ და გაიმარჯვეს 3:0. სამივე ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმში. გოლების ავტორები იყვნენ პოლიკარპოვი, დუდარენკო და ფედოტოვი.

მოსკოვის დინამოელები სამარყანდში გადიოდნენ წვრთნას. დინამოელებს ტაშკენტში 8 დეკემბერს მოელიან.

ხუთი ტურის შემდეგ

მოჰადრაკე ვაჟთა რიგის საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატზე გათამაშდა ხუთი ტური.

მეხუთე ტურში, რომელიც პირველ დეკემბერს შედგა, არა ერთი საინტერესო პარტია გათამაშდა, მაგრამ იყო ტიპური „გროსმაისტერული ყაიმებიც“. მაგალითად, უკვე მეთორმეტე სვლაზე კორჩნოი და შტეინი ყაიმზე შეთანხმდნენ. მეორე დამარცხება ზედიზედ განიცადა გროსმაისტერმა ხოლმოვმა. ამჯერად მან წააგო პოდგაეცთან შეხვედრა. ანტოშინ-მოისეევისა და დემენტიევ-ვაგანიანის პარტიებში მეტოქეები ყაიმს დასჯერდნენ.

საინტერესო გამოდგა პლატონოვისა და მიკენასის ორთაბრძოლა. პლატონოვმა შეძლო მეტოქის ფიგურების შებოჭვა, შემდეგ კი საშუალება არ მისცა მას როჭი გაეკეთებინა. მიკენასმა წააგო რამდენიმე პაიკი, ხარისხი, ბოლოს ლაზიერიც კი და დამარცხდა.

ბალაშოვი შავებით თამაშობდა სავორთან. იგი ბევრს ეცადა გაიმწვავებინა მდგომარეობა, მაგრამ ბოლოს იძულებული იყო ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. ლებერზონ-კარასევისა და დოროშკევიჩ-ბაგიროვის პარტიებში თეთრებმა მხედარი შესწირეს მოწინააღმდეგეს, შემდეგ ძლიერი იერიშები მიიტანეს მეფის ფლანგზე და აიძულეს მეტოქენი დანებებულიყვნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ხუთი ტურის შემდეგ ტუკმაკოვს 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, კორჩნოის — 3,5 ქულა, ბალაშოვსა და დოროშკევიჩს — სამ-სამი ქულა და თითო გადადებული პარტია, ბაგიროვს — 3 ქულა, ზაიცევს, პოდგაეცსა და ლებერზონს — ორ-ორნახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია.

გუშინ შედგა მეექვსე ტური.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა განთავისუფლდეს ამბ. ლ. ა. **ალყვარელიძე** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ოთეატრები

8 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჩიო-ჩიო-სანი; **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ანტიგონე; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთვარის მოტაცება; **გრიბოედოვის სახელობის** — მასკარადი (1-ლი ამბონ. მე-3 წარმოდგენა); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — კურკას ქორწილი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დიავოლა № 16 (ამბონ. გარეშე საღ. 8 ს.); **ფილარმონიის საზამთრო** — ენკი-ბენკი; **კონსერვატორიის მცირე დარბაზი** — კონცერტი ორალის კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; **თოჯინების ქართული** — ხუთკუნჭულა (10 ს. 57-ე სკოლა, 12 ს. 114-ე სკოლა).

კინო

8 დეკემბერი

ოქტომბერი — **უფლებააყრილნი;** ოფიციერთა სახლი — **ჩაიკოვსკი** (I, II სერია); ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, ბათუმი, სიხარული, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ჯადოსნური ხაყვარული;** საქართველო (მწვანე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), კოლხიდა, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ეკრანი, ვარძია — **გიტარიანი თვითმფრენი;**

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი

დაუსწრებელი და საღამოს განყოფილების სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ **სახელმწიფო გამოცდები მოეწყობა ა. წლის 7 დეკემბრიდან. განცხადებები სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ მიიღება ა. წლის 5 დეკემბრამდე.** განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ცნობა სამსახურიდან, შრომის წიგნაკის ამონაწერი, ჩათვლის წიგნაკი და სტუდენტის ბილეთი.

თბილისის № 1 ავტოშემკეთებელი ქარხანა

იმასთან დაკავშირებით, რომ 1971 წლიდან ავტომანქანების ბაზ-51, ბაზ-93, ზილ-150 და ზილ-585 შეკეთება იწარმოებს გასულ წლებთან შედარებით შეზღუდული რაოდენობით, — სთხოვს ყველა სამინისტროს, უწყებების, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს დააჩქარონ აღნიშნული მარკის მანქანების შესაკეთებლად ჩაბარება მომდინარე წელს.

აღნიშნული მანქანების გაკეთება იწარმოებს შეუფერხებლად შეკეთების დირებულების გადახდისთანავე.

ქარხნის ადმინისტრაცია

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

8 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინო-პროგრამა, 11.45 — „ხუთწლედის ნაბიჯები“ — სატელევიზიო ნარკვევი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მხატვრული ფილმი — „ბრძელი როჭი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი „პაპა გიგი“, 19.25 — გადაცემა — „იაკობ გოგებაშვილი“, 19.55 — „მღერის საქართველოს კაპელა“, 20.25 — სატელევიზიო ფილმი, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — საიუბილეო წიგნების გამოფენა-რეპორტაჟი, 21.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თეთრი ღამეების გაცილება“.

4 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „თეთრი ღამეების გაცილება“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის „ისინი შენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“ ალექსანდრე წულუკიძე, 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ოცი წუთი ილუზიების სამყაროში“. 2. სალსტრადო პროგრამა — „მღერის დიელო“, 20.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „გამარჯობათ, ჩვენო მამებო!“ — პრემიერა. საქართველოს ტელევიზიის დადგმა, 22.35 — „ბეთჰოვენის სონატები“.

თეატრები

8 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჩიო-ჩიო-სანი; **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ანტიგონე; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთვარის მოტაცება; **გრიბოედოვის სახელობის** — მასკარადი (1-ლი ამბონ. მე-3 წარმოდგენა); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — კურკას ქორწილი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დიავოლა № 16 (ამბონ. გარეშე საღ